



პვირა 29 აპვიბოთ.

ფანი ორი შაური



იაკობ გოგებაშვილი 45 წ. მფლვწობის გამა



გ. მ. თუმანიშვილის წიგნები

Характеристики и воспоминания

(А. Казбекъ.—Зур. Антоновъ.—А. Цагарели.—Кн. Раф. Эристовъ.—Ил. Чавчавадзе.—Г. Н. Сундукіанцъ. Максимъ Горкій. Воспоминания объ основаніи постоянной грузинской сцены и пр.

3 Выпуска, ц. каждаго 50 к.

„ცოდნა“-ს

წიგნის მაღაზიაში იქსყიდება

	ჰ.	კ.
როთუტაჟ. კრებ. ხრამელაშვილის I ნ.	„	30
„ „ „ II ნაწ.	„	40
ართმეტრიკის სახელმძღვანელო მისიჯ.	„	80
ქართული წერის დედანი შირაინაშვილის	„	40
ნიკ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები დ. კარია		
ჭავჭავაძის ბიოგრაფიით, ილ. ჭავჭავაძის კრატ.	წე-	
რალით და იუ. გამრთლის ლექციით.	„	40
იმერეთის მეფე სოლომონ, ბ. ხახანაშვილის		
„	„	25
რაც, სოსიკო შერკველასძის	„	20
ალექსი, ზოგა ავაკის	„	10
სიმღერა ავაკის	„	15
ილ. ჭავჭავაძის რჩეული ლექსები	„	15
ბაშაჩუკი, ავაკის	„	30
სამშობლოსთვის თავდადებულნი	„	40
რუსთა დამარებას ქართველოში	„	20
ათი შოთხრობა, ივანე მჭავჭავაძის	„	20
იანონია, ნ. ნაკვასძის	„	20
ხალხური ვეფხის ტყეოსანი	„	10
დიდი ვეფხის ტყეოსანი მშენიერის ელით	3	„
კულტურა ლიბერტის	„	50
ფაზბეგის სრული თხზულება ერთ ტომად	3	50
ლექსიკონი საბ. არბუღაიანის	3	„
ლექსიკონი ქართულ-რუსული ბაღაშვილის	„	50

ლექსიკონი ქართულ-რუსული ეფიანას	„	50
ლექსიკონი რუსულ-ქართული სხაკას	„	20
ხუბინაშვილის რუსულ-ქართული	2	40
დამონებულნი (ბოღჯ. განთაჟ	1	„
ქართულთა ტომი, სურათ. ადბ.	3	„
ადგომს, ტალსტოის	1	20
სქართველოს გეოგრაფია, ვასუტის	2	„
სერგეი მესხის თხზულებ	1	„
შამა გურჯიას თხზულებ	1	„
ავაკი წერეთლის თხზულებ I და II ტომი	2	„
თავკადასაჟა, მისივე	1	„
რაფიელ ერისთავის თხზულებ	1	„
ი. ევლოშვილის თხზულებ	„	60
სამზარეულო ქართული საჭმელების	1	50
ლადტი ა. სუმბათაშვილის დასურათებული	1	25
ჭავთა ღაღა და სომეხთა მეცნიერნი ილია		
ჭავჭავაძის	„	30
ზღაპრები დასურათებული ერთი I ტომი	1	25
ზღაპრები ტომი მეორე,	1	30
შიღლეის ბოჯხა იუ. გამრთლის	„	20
ფაზრე ლექსები	„	40
ნაძირაღნი, მაქ. გორგის	„	25
ბუნება და ცხოვრება, ი. ალხაიშვილის	„	60
აქვე იხილება ეოვლოშვილის ქართული წიგნები		

მსურველთ დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დაღებით ფოსტით. თბილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ მაღაზიის პატრონი სოსიკო შერკველაძე



წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან თიფლის. Редакция „Театри да Цховреба“

Тос. Зах. Имедашвили

ხელ მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7 ს.

ტელეფონი № 862

29 ავგისტოს 1910 წ.

ფხიზლად, ამ სიტყვებით აფრთხილებდნენ კონსულ ებო. ძველ რომში მთელის ერის უმაღლეს გამგებელი; ამვე სიტყვებით მიემართავთ ჩვენის თეატრის მესვეურთ...

თეატრი ცხოვრების სარკეაო, რომ ამბობენ ჟაზროლადი არ ამბობენ...

კარგად დაყენებული თეატრი ყოველთვის იმას ცდილობს, ცხოვრების სინამდვილეს გაუხედეს სარკედ, დააკმაყოფილოს ერის სულიერ-გონებრივი მოთხოვნილება.

თუ თეატრი მაყურებლის სულსა და გულს ვერ მოჰხიბლავს სინამდვილის ხელოვნურად ჩვენებით, სინამდვილის განსახიერებით, ცხოვრების სისწორით სცენაზე გადატანით, — ასეთი თეატრი საზოგადოებას ვერ მიიზიდავს და საბოლოოდ სახელსაც გაიტეხს...

ვიდრე ქართული თეატრი თავის ნამდვილ დანიშნულებას არ შეიგნებს, სახელდობრ იმას, რომ იგი სარკე უნდა იყოს ქართველი ხალხის ცხოვრებისა, ერთის მხრივ, და საკაცობრიო იდეათა გამაერკელებელი, — მეორეს მხრივ, მანამდე იგი მკვიდრ ნიადაგზე ვერ დამყარდება... ქართული თეატრი მტკიცე ეროვნულ ნიადაგს უნდა დაადგეს: მელპოპონის ქართულ ტაძარში ქართულ სიტყვებთან ერთად სულიც ქართული უნდა ტრიალებდეს. ქართულმა სცენამ მთელი თავისი ძალიან, უმეტესად, ჩვენის ცხოვრების დასურათებას უნდა მიახლოდეს. უბრალო, ჩვეულებრივი პიესები, უცხოურიდან „გადმოჩიქართულებული“, ჩვენის თეატრის მაყურებელს ვერასფერს მისცემს ერთი იმიტომ, რომ არისტოკრატია და ბურჟუაზია იმავე პიესას სხვა თეატრებში, უმეტეს შემთხვევაში, უკეთესად დადგმულს ნახავს და მეორეც — ქართველი მდაბია და სშუალო წოდებ-

ის ხალხის სულსა და გულს საზრდოთ ვერ შერეგება.

დროა ჩვენი თეატრი ნასუფრალით საზრდოობას ასცდეს, ნამდვილი ხალხური სულით გაიჟღირთოს და საერთო მიმდინარეობაში თავისი მსუფელადმაც საზგანსმით აღნაშნოს. თუ საკუთარ ძალებით არ აღიჭურვა იგი, ყოველთვის უკან ჩამორჩენილი მაჩანჩალა იქმნება. ზატევისცემა მხოლოდ სულით ძლიერსა და თვით-შემომქმედს კუთვანს...

ერთი მცირე სარევისორა შენიშვნაც. ყოველ ერს, ყოველ ხალხს, ყოველ თემს, ყოველ პიროვნებას კილო ლაპარაკია, მიხვრა-მოხვრა, სიარული, ღიმილი, სიცილი და სხ. განსაკუთრებული, თავისებური აქვს და ამიტომ, თუ ქართული სცენის ქართველი მსახიობი ყოველივეს ისე არ აღბეჭდავს, როგორც ამა თუ იმ ერის სულიერ-ხორციელი თვისება მოითხოვს, თუ ქართული პიესის წარმომდგენი მთელს პიესას ქართულის სულხორციით არ ამოაგვირისტებს, — ასეთი წარმოდგენა კვალს ვერ დაჩანებს. ისტორიულ პირის წარმომდგენს რომ არა-ისტორიული ტანისამოსი ჩააცვათ, ქართველი გლეხის მაგიერ რომ რუსის გლეხი გვიჩვენათ, ევროპიულ გრაფინია-გრანდამას, გრაფისა და ჯენტლემენის ნაცვლად გაუთოელი, ხებრე ვინმე, ანუ უკანასკნელი პირველთა ნაცვლად, რასაკვირვლოა, სამწუხარო ფიქრთა მეტს არას აღვიძიარავს.

ამიტომ ჩვენის სცენის მუშაკთ კიდევ ერთხელ მოვავრანებთ ბევრჯდელ თქმულს და მტკიცედ ვთხოვლობთ, რომ აღარ გვიჩვენონ:

- 1, რღვის უცვლადნარბოთ ენა-დაბმული და შეუგნებლობით თავ-გუს დაკარგული აქტორი;
- 2, ქართულს წარმოდგენაში ანა ქართულს კილოთა და სიტყვებით დაზარავი;



3, შეუფერებელი ტანისმოსი და გრამი;

4, წარმადგენის დროს კულისებთან სცენაზე აქტივობის (გაქროვნა) — ამ თუ ამ მიმოხერხის ჩუქურბი;

5, წარმადგენის დროს, როლის გარდა, „სინდრეზურა“ და „უცნობურა“ სიტუაციების წარმოთქმა;

6, სუფელიორის ეგვირალი;

7, მასიურ სცენაში გზადანხეული ბრბო;

8, წარმადგენის დროს დეკორაციების ქანობა და კულისებთან ვადანგების გამოტყუტა;

9, ზეისის მივლელობის დროს მუყურებელთა დარბაზში შესვლა - გასვლა, კარის ხაჭა-ხუთქი.

10 შეუფერებელი ბუტაფორა, განსაკუთრებით დამუყურებელი „სროლა“ და სხ. და სხ.

დარწმუნებული ვართ, ყოველივე ეს ან მსგავსი ნაკლებობები ან ამ სხობრში აცილებული იქნება; — ამის თავდებია წლივანდელი ხელმეფეობის პირობანი და, თუ სეზონის წინ აღენიშნეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენის სცენის მსგავსი გავეფეროხილებინა... მაყურებელი თხოულობს ყოველივე კარგს. კარგად მოვლილ ეასნ-ვა მოსაყავივ კარგი მოსდეს...

**ნატო გაბუნია** — ნატო გაბუნია ქართული თეატრის ას სტიპენდია. ისტორიაში სწავილაშვილად დიდებით უნდა იხსენიებოდეს. ადრე ამ აზრით იხელმძღვანელა ქარ. დრამ. სახ-ის გამგეობამ 24 აგვისტომდე რომ დაადგინა: „ყოველწლიურად ერთი სტაჟენი-300 მან, დაენიშნოს ამ ქალს, რომელიც სამსახიობო განათლების მისაღებათ წაყა უმადდეს დრამატულ კურსებზე. თანხის შესავსებად ყოველწელს, ნატოს დაბადების დღეს, 3 თებერვალს გამართოს წარმადგენს. აგრევე მიდებულ იქმნეს შემოწორულებანი. რაც სამს მზანთ აღმტრება, გადაიღავს სათანადო თანხად“.

ამ თანხის უკვე სიუტიელი დაეფა გვირგვინებიდან გარდრჩენილი იყოფით და აგრევე კერძო შემოწორულებით. სხვათა შორის, ზუგდილიდან გავტობიანის დიად ზატოგეშული თავდა მიხილ მელიტონის ძე **დადიანი**:

„ეს არის ახლ წავიკითხე სმწესრო დეპუტ. აღვთხე უღადქიას მწესრუბის ჩვენს სცენის სიამაყის და კულისკან დაუწიწარის გაბუნის გარდგენელების გამო. დრამატული საზოგადოების თაონრობისამებრ მე და სხვა მრავალი ადგილობრივი მკვიდრი მზადა ვართ გავილოთ ჩვენი წვლილი გარდაცვალებულს ნატოს სისოხის უკვლე-სქმნელად.“

ქართ. დრამ. სახ. გამგეობის ამ იფრად სუენრადლებო დადგენილებზე შეაქვეტო უკვლას ამოყურადდეს, რომელიც მართლად და გული დასწევიტა დიად ნატო მისხიობ ქალის გარდგენელებში. განსაკუთრებით ჩვენის ქვეყნის დრამატულ საზოგადოებთ უნდა დაისხოს წმინდა მოყვლობით, რომ წელიწადში ერთხელ მანც გამართონ „ნატო გაბუნის სილაზო“ ამ თანხის გამსდებულად.

ინტელიგენტი და ნატო მისხიობნი, განსაკუთრებით ქალნი, რომ ნაკლებად გვეყვს, ეს ვინ არ იცის; და ეგება ნატო გაბუნის სხვადგენებში მისხიობის გამოცხადამი მთერე ნატო გაბუნია თუ არა, ცოტათი მისმგავსებელი მანც შეგვიძინს...

ვისც ქართული თეატრი უანგროდ უყვარს და ნატო გაბუნის სისოხის ტეშმარტად ზატოვს სცემს, — ქართ. დრამ. სახ-ის გამგეობის მზს მისცემს და ამ დადგენილებს ჩქარ აღსრულებში მოაყვანინებს.



**თეატრი და მოსწავლე ახალგაზრდობა**

თეატრს რომ დიდი აღმზღელობითა მზამუნელობას (воспитательное значение) აქვს, ამისგორად დაზარება სწავრო. მოსწავლე ახლგაზრდობისთავის შესიფერი ზეისებო იგვიყა, რაც ბავშვისთვის კარგი აღმზღელია.

ყოველ ერის თეატრს სჯანგებო უყრადდებს აქვს მიქვეყლ ამ მისრისთავის, ანს დახეთ, როგორ სცნადობენ გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, რუსები მოსწავლე ახლგაზრდობისთვის შესიფერ რეპერტუარის შესამუშავებლად!..

მზმზ ამ მიხიბთ მთელი საზოგადოება შესადა ზეტერბურგში. ამ საზოგადოების სთავეში უღკანს საამუქრატრო სცენის დირექტორი ბანი კოტკოაირეგვი. დასაწიბო ბუერს ეკანს, ეს სახობრის საქმეო, დასი უადგილო მისხიობიანს იხსენად შემდგარი და სხვა., მგრამ, ჩვენს სასიამოვნოდ, შესიფერ. ბნ კოტკოაირეგვიამ დიდი ღვაწლი დასცო ამ საქმეს: შეამუშავა რეპერტუარი, შუადგინა დასი, რომელშიაც სუჟეტისო მისხიობებმა მიადეს მონაწილეობა, დახაწილას აბინეშტებო სხვადსხვა სასწავლებლებში. რასაკვირეულია, რეპერტუარი შესიფერად იყო შედგენილი. მთელი დრამატული სელფონების განვითარება იყო შემოფარგლული. რეპერტუარი იწეუბოდა ძველი ბერძნული ტრავედიით; მის მოსდევდენ ტრუვალსიკური დრამები, სმუადო საუყუნის მისტერები, შემდეგ შექმნობი, შიდეფერი და სხვა. რეპერტუარი თავდებოდა თანამედროვე დრამებო.



ასე რომ მოწვევებს რეპერტუარის დასრულებას შემდეგ ნათლად ჰქონდათ წარმოდგენა და რამეტიკული ხელფანების განვითარება. საამაყნებასთან ერთად სრულდება იყო შეკავშირებული. ზოგაერთ წარმოდგენების წინ ადვილად გასაკებ ლექციებს კითხულობდენ ხოლმე.

უნდა გენახო, რა ხალხით ეკადებოდენ საქმეს მსახიობნი, რა მადლეური იყო ახლგახლდობა. წარმოდგენის დღეები სდღესასწაულად გადაიქცენ მათთვის. თეატრი ვეღარ იტყვად მსურველთ არამც თუ მოწვევებს, არამედ გარეშე პირთაც-ცა.

ჩვენში ასეთი მაგალითი არსოდეს არ ეოფიდა. რეპერტუარს გარდა, მე მგონია, ჩვენ დრამატულ სახ. გამკეთებას შეუძლია თვეში ერთი ან ორი ასეთი წარმოდგენის გამართვა, და თუ კი-სულ მასწავლომ ფანებით იქნება, არსოდეს არ იქნება ზარდა. განს ასეთ წარმოდგენებს მსოფლიდ მასინ აქეს მნიშვნელობა, თუ სისტემა იქნება. უსისტემოდ არსოდეს არ გაკეთებულა საქმე და არც ამ საქმიანდს გამოვა რამე.

აქამდის მოწვევები ეოველ ქართულ ენაზე დადგომულ ზეკის თუ სედავად და ვრდოერი გამოჰქონდათ, ეს იმის ბრალი იყო, რომ ხშირად მათთვის სრულიად შეუფერებულ ზეკისებთან ეუღმართი დასკენა გამოჰყვდათ. ხშირად მოწვევ ვერ გებულობდა დედა-ახრს, ზეკისს საუკეთესო მოტეების და იმითამ მარტო გარეგან მხრეს აქცევდა ეურადლებს. ვუსურვებთ განხლებულ გამოკებას ჩუკეორდეს ამ სკანს და არ დავიწეოს ხელ-მოკვლე ახლგახლდობაც, რომლის ესტეკური გრმხობახი ასევე ითხევენ სხარდას, თუ მეტად არა, როგორც ჩვენ.

**კორდელი**

**უ ლ უ მ მ ს მ თ ა მ ე**

(სატირიული მიით)

ულუმბოს მთაზე მოწვევა იყო: ზურმუხტიცა, ტალღები ზღვისა, ლეთიური ნიქი ლექსთა წყობისა, სიყვარული ჰეშმარტებით-სადმი, მშენიერება—ყველაფერი გაყოფილ იყო ღმერთთა შორის. არაფრის დაფლობა აღარ შეიძლებოდა. შემოქმედებას სარბიელი აღარ ჰქონდა.

და ღმერთები მოწვენილი იხდენ. ლეთიურად იყენენ მოწვენილნი.

ღმერთების წრეში ბურღულითა და წყევვა-რწულით შემოვიდა გამხმარი, დატანჯული ხალხი: „რაც კი რამ იყო, სახირო, წაიღეს,

ყველაფერი გაიყვს ერთმანერთში, თვით ჰეშმარომნიც-კი არ შემარჩინეს და ეს უმგვანო კი დაივიწყეს! რა უყო ამ ტიალს?! მაგრამ ვინ იცის, იქნებ ამის მუშტარტ გამოჩნდეს“.

ღმერთთა კრებას შეერია ხალხი, მაგრამ ყურადღება არავინ მიჰქცია. მოლუშულ სახეზე ნათლად ეწერათ: „მოგვაგებზრა თავი ამ გაღატაკებულმა სულელმა“.

„ესეც წაიღეთ, გამანათვისუფლეთ!“ უკმაყოფილოდ დაიწყო ხალხმა.

„ტყულოდ გარჯილხარ;—დაიგრილა ყოვლის მტოდნე ძვესმა—მან კალთაში მხოლოდ მტეერი, ღმერთთა ფეხებიდან დაცივნიული და აღამიანის ჰუქყიანი ოვლია შეხელილი. რომელ ოხერს დასკირდება ასეთი თხლი“.

— გვა, შეილო ჩემო საყვარელო, წაიღე! — დაიკარგე აქედან!—გაწყრა მუდამ დაუბერებელი, განიერ გულ-მკერდიანი დედა ღმერთებისა და აღამიანისა,— ჩემთვის საჭიროა ნამი და თოვლი, მზე და ჰაერი, და არა ეს ნახეტი და ნაწერტი.

— შენ, ჩემო მშენიერო აფროლიტა? შენ ბეერი გყავს თყყანისმცემელი, მეგობარი... რომელიმეს გადასცემ, შენ თუ არაფრად გამოგადგა... —

— რაო?—გაეღიმა მშენიერს,— გულს ნუ მომაყვანიებ! როგორ არ გრცხვენია ასეთი... როგორ ვთქვა, აღარ ვიცო... ასეთი რისამე ტარება! გაითერთხე მოსახამი!.. აქ დაჯექი ჩემთან.

— აი შავი ჰირი კი შეგყარა— შეგიწინა ხალხი—მუდამ არ მოყობა გახოსეს;—და გაშორდა იმ ადგილს.

ღმერთებში უკვე ჩოჩქოლი ატყდა. არესმა შორიდან დაუძახა: „არ მოხვიდე ახლოს, თორემ შენც და შენს ბარგსაც ყირამალა გადაგადებთ აქედანო. ომის დროს მტერს მოუღვავ, რომ არ დამფხანტოს, თუ მტერს გაუშვალავდეო“ მუბლიდან დაბადებული, გონიერი ათინა თავაზით შეხვდა ხალხს, და სანამ უკანასკნელი ხმას ამოიღებდა, მოკლედ უთხრა: „ამ შენს არა სასიამოვნო ბარგს ძნელად თუ ვინმემ მისცეს ფორმა. როგორ შეეძლება თვითონ მას მთელ ჰეყყანას რაიმე ფორმა მოუნახოს, ან და გაიგოს ჰეყყანის ფორმა-გამოხატულება. ჩემი სამეფოსთვის ეგ უკარგისია. კეთილი იყოს შენი გზა.“

ხალსი ჯვარით სკდებოდა; აღარ იცოდა რა ექმნა და დორბლი ისევ აწეულ კალთაში ჩაყრილ მტვერზე უფარდებოდა.

— შენ ყოველისფერს მოწყალების თვალთ შებკურებ, — შინჯა ხალსმა უკანასკნელად და მიმართა შექმნენს აბოლონს, — შეხედე და მიიღე უკანასკნელი ჩემი სიმდიდრე.

— დიახ! — უპასუხა აბოლონმა — ჩემნი ქურუმნი, მხატვარნი და პოეტნი, მაგასაც მოაპყრობენ ყურადღებას, მაგაშიაც ჰპოებენ რასმე საგულისხმეიეროს, განსაკუთრებით-ი კონტრასტების შესაქმნელად, მაგრამ ჩემს სამეფოში მაგის მიღება, მომიტყევე, არ შემიძლია.

— მე კი, თუ მამაშვილობა გწამს, ნურაფერს მტყუცი, ჩემზე მაინც ცუდი აზრის არიან: ეს შენი ძღვენიც თუ მივიღე, მთელი ცა და მიწა ამიყაყანდება, რაც ზნეობრივი და გონებრივი სიღუბეა, მან აიყვანა სამეფოს გასაღიდებლათო. ჩემს ქურდებს გონება მაინც აქვთ... ეს კი, ეს რა არის? — დევიტხა ჰერმესი ხალსს.

აღარ მოგვეშორდები?! — აღწვითაღენ ღმერთები — გადაადე ეს ტილი! არავის უნდა მოგვეშორე თავიდან!

ხალსს გონება დაეკარგა: „ყველაფერი წილეს ყველაფერი დაიკაცეს; ეს კი დამიტო-

ვის სამარცხვინოდ“. ხალსი მივიდა ულუმბოს კიდზე და ცრდილ მიწაზე გადმოყარა, გადმოასხა მტვერი, თხლე, ქუქკი...

ყველასგან უარყოფილი დავარდა მიწაზე. ბრმა ვირმა სუნი იკრა ადამიანის ოფლისა, იფიქრა: აქ ადამიანი არისო. მივიდა და დაუწყო ალერსი: ჩლიქებით შემოავლო ხაზი იმ ადგილს, სადაც უნდა ყოფილიყო სხეულის სხვა და სხვა ნაწილები — ხელ-ფეხი, თავი... ჩაჰბერა სული, სადაც ტუჩები ეგულდებოდა, ბოლოს დაწვა და ძუძუ ჩაუღვა პირში...

და მოხდა სასწაული... ვირმა შექმნა რალაცა ადამიანის მსგავსი.

შექმნილი წამსა ღმერთების მოწყენისას, შექმნილი ღმერთების ფერხთა მტვერიდან, ადამიანთა ოფლიდან და ღმერთების ნაფურთხიდან; შექმნილი ვირის ჩლიქებით, სულ ჩადგმული და აღზრდილი ბრმა ვირის მიერ, დღესა ტრაღიკის გმირებისას იწოდებოდა — ტერსიტესათ; ჟამსა საშინელსა წარღვნისასა — ხამის შვილებათ იყვენ გადარქმულნი; დღეს კი, საქართველოს დაცემის ასი წლის თავზე, ილია ქაქავაძის, დიმიტრი ყიფიანის, დიდაშვილის დროს, სახელი მათი არის . . . . . ლევიონი.

6. ლორთქიფანიძე



# ნ ა ლ ვ ლ ი ა ნ ჰ ა ნ გ ზ ი

ქვითინი ისმის... ნალვლიან ჰანგზე  
ცრემლს უერთდება გლოვისა ზარი:  
მისვენებენ კუბოს მუშისას,  
მისვენებენ, მიაქვთ ცხედარი!

სევდის ნიავად დაჰქრის ველად, ცაში ინთქმება  
ხმა მწუხარების, ხმა გლოვისა, გულის მგმირავი;  
საბრალო მუშა! ბედის გერი, ლუკმისა მონა,  
აქ ცრემლს აფრქვევდა — იქ მიელის ცივი საფლავი!  
ჰა, მასვენეს, ლუკმის მსხვერპლი, ბნელ აკლამასთან,  
უკანასკნელად დააფრქვიეს ცრემლი მდუღარე;  
ბედით ბედკრული სხვისთვის ბრძოდა, ანთხედა ოფლსა,  
ახლა-კი... ახლა შთანთქაეს ბედშავს ცივი სამარე!  
ოჰ! რა გველია, რა მაცდური წუთისოფელი!  
ერთსა ახარებს, — მეორეს-კი უღმრთოდ გასწირავს:  
ვითომ ნექტარით ჩაიტყუებს უღმრთ კლანჭებში,  
შემდეგ შეასმევს მწარე ნალველს... გულს გაუგმირავს!...

ქვითინი ისმის... ნალვლიან ჰანგად  
ცრემლს უერთდება გლოვისა ზარი:  
მისვენებენ კუბოს მუშისას,  
მისვენებენ, მიაქვთ ცხედარი!...





# იაკობ გოგებაშვილი

## ი ა კ ი მ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი

აღმართს დაღმართიც აქვსო,— ტყუილად არ ამბობს ანდაზა.

ჩაგრულსა და უფლება ახდომი ერთი რომ ისეთი შეიღობი არა ჰყავდით, როგორც ჩვენს ერის ღირსეული შვილი—იაკობ გოგებაშვილია, მაშინ ხომ წყალწაღებულნი იქნებოდნენ...

ქართველ მოღვაწეთა მკირე გუნდს იაკობ გოგებაშვილის სახელი ბრწყინვალე შარავანდედით ჰმოსავს...

წელს თრმოცდა სყოთა წაღაწადა შესრულდა, რაც ეს მაღლიანი, ღრმა რწმენისა და მტკიცე მოაზრე კაცი ურის საკეთილდღეოდ მოღვაწეობს...

იაკობ გოგებაშვილი შთამომავლობით გლეხია, სასულიერო წოდების; მამა მისი სვიმონი იყო გორის მაზრის სოფ. ვარაიანის მოძღვარი, დედა—მადანა, გლეხის ქალი. დაიბადა 1840 წ. 15 ოქტ. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სემინარიაში დაამთავრა კურსი 1861 წ. აქედან მთავრობამ კიევის აკადემიაში გაგზავნა. უმაღლესი სწავლის ბრწყინვალედ გათავების შემდეგ გამწესებულ იქნა ჯერ თბილისის სასულ. სემინარიაში მასწავლებლად, შემდეგ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. 1873 წ. ჩამოშორდა სამასწავლებლო ასპარეზს. მისი მასწავლებლობის ხანა იდეურად შესანიშნავია და სწორედ ამ მიზეზითაც ჩამოშორეს სასწავლებელს.

ერის სიყვარულით აღტურვილმა იაკობმა სასწავლებლის გარედ ძაღლინენ გაიორკეცა, დაბრკოლებათ არ შეუღრკა,—ეს არის თვისება შინაგან ძაღლინით აღსავსე ყოველი კაცისა,—და თავისი საადმწებლო შრომა სასწავლო წიგნთა გამოცემით განაგრძო...

იაკობ გოგებაშვილია რომ სახელმძღვანელოების გამოცემა დაიწყო, ქართველებში ანბანიკი არ მოიპოვებოდა, არამც თუ წესიერი სახელმძღვანელო. ამ ნაკლს მიაკეთა ყურადღება იაკობმა და ანბანის გამოცემის შემდეგ, გამოსცა „ბუქნის კარა“ (1869 წ.), შემდეგ „ღელა ესა“ (1875 წ. პირველად). ამას გარდა, როგორც ნამდვილი იდეურ მებრძოლ-მუშაკს შეჭფერის, იაკობი მესამოცე წლებიდან მოყოლებული, სიტყვით თუ საქმით, შეუღრკეცლად და დაუღალავად მუშაობს. ზემოთე დასახელებულ სახელმძღვანელოებს გარდა, შედგენილი აქვს რუსული ენის შესასწავლი წიგნებიც: „Рус. слово“ I—II, მეთოდიკის სახელმძღვანელო, სხვა და სხვა კრებულები; ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ ვრცელ წერილებს სხვა და სხვა საგნებზე ხომ ანგარიში არა აქვს.\*)

იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი, როგორც მწიგნობრისა და მოქალაქის, შთამომავლობის აღმზრდელ-მასწავლებლის, ქართული მწიგნობრობის გავრცელების პირველი საფეხურის და ერში სინათლის გამავრცელებელისა, ფასდაუფებელია და ღირს-სახსოვარი...

ამ ყამად იაკობ გოგებაშვილი 70 წლისაა, ჯანღონით სავეს და ისევე შეუღრკეცლად მომუშავე, როგორც დაიწყო...

ღიღაც, რომ ჩვენს ერს უფლება აქვს ამგვარი შვილით იამაყოს...

ქართველ საზოგადოებას ჰსურდა მისი მოღვაწეობის იუბილეს გარდახდა, მაგრამ ეს თვითონ ღრმად დამსახურებულმა მოღვაწემ—იაკობ გოგებაშვილია—არ ისურვა...

საღამს ვუძღვნით ჩვენს ძვირფასს მოამაგეს, აღმზრდელ-მასწავლებელს და ვუსურვებთ დღეგრძელობა-ჯანსაღობას მთელის ერის საყვეთილდღეოდ და თავისდა სასახელოდ...

ი—ი

\*) წელს გამოვიდა ცალკე წიგნად მისი ნაწერების ვრცელი ტომი, რომლის გაცნობასაც ვურჩევთ მკითხველთ.

დასაგლეთ ევროპის ლიტერატურა  
ხანა კაპიტალიზმის აღყვავებისა  
(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 32)

## II

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რავდენადც სოფელი ცალიერდებოდა, იმდენად მრავლდებოდენ და იზრდებოდენ ქალაქები. 1850 წლიდან მოკიდებული 1890 წლამდის ინგლისის ქალაქთა (რომელთა მცხოვრებლები 100,000 აღმატებოდენ) რიცხვი რვიდან ოცდა სამამდის იზრდება; იმ ქალაქთა რიცხვი, რომელთა მცხოვრებნი 100,000 უდროდენ, — ორმოცდა თოთხმეტედან ას-სამოცდა ერთამდის იზრდება; ხოლო იმ ქალაქთა რიცხვი, სადაც სქხოვრობდა 20,000 მეტი მცხოვრები, გაიზარდა სამოცდა-სამოდან ას-ოთხმოცდა ხუთამდის. საფრანგეთში სოფელი ყოველ წლივ ქალაქთა სასარგებლოდ ხიზნავდა 60,000 კაცამდის; ბელგიაში ათი წლის განმავლობაში (1880—1890) მიწის მუშათა რიცხვი 200,000 კაცით შემცირდა. გერმანიაში ხუთი წლის განმავლობაში მოქალაქეთა რიცხვის იმდენი მოიზარდა ნახევარი ემატებოდა. განსაკუთრებით საოცარის სისწრაფით გაიზარდენ მსხვილი ცენტრები—დედა ქალაქები. ორმოცი წლის განმავლობაში (1850—1890) ლონდონის მცხოვრებთა რიცხვმა ორჯერ იმატა, პარიზისამ— ექვსჯერ, ბერლინისამ—ხუთჯერ.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მწერლები და პოეტები თავიდან ბოლომდის ქალაქის მცხოვრებნი იყვნენ. თუ ლიკენსი და ჰუგო უარყოფით შესცქეროდენ, ზოლასთვის ქალაქი სიცოცხლისა და პროგრესის განხორციელება იყო. აი, რას მოგვითხრობს ზოლა თავის კრებულის „ჩემი სიძულვილი“-ს ერთს წერილში: „როდესაც ახალგაზდა დ ლარიბი ვიყავი, ქალაქის განაპირა უბანში ვცხოვრობდი, სულ უკანასკნელ სართულში, ვიდანაც მთელი პარიზი ჩანდა. და ეს დიდი ქალაქი, რომელიც უძრავად და გულოვრილად აღიბეჭდებოდა ჩემის ფანჯრის ჩარჩოში, უსიტყუო მოწმე იყო ჩემის სიხარულისა და მწუხარებისა. მის წინაშე ვიმშვიდი და ვსტიროდი, მის წინაშე შეყვარებული და ბედნიერი ვიყავი; და მაშინ, ოცი წლისა რომ ვიყავ, ვფიქრობდი დამეწერა რომანი, რომლის მოქმედი პირი სახურავთა ზღვა—პარიზი—უნდა ყოფილიყო...

ჩემთვის საჭირო იყო სამი ან ოთხი კაცის შინაური დრამა პატარა ოთახში, ხოლო პარიზონტზე თვალგაღწევენელი ქალაქი—მოუშორებელი მოწმე, რომელიც თავის ქვის თვლებით ამ აღმანათა წამებას შესცქერის“.

შემდეგში ზოლამ ეს განზრახვა თავის რომანს—„სიყვარულის ფურცელი“-ს დაუღო საფუძვლიად.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის პოეტებსა და მწერლებს უყვარდათ ქალაქი; უყვარდათ მისი უარყოფითი მხარეები, მისი ავალბა და სიბინძურე, გარყვნილთა თავშესაფარები და ნაძირალები. ბოდლერისაებრ მათ ათრობდა სიცოცხლისა და მოძრაობის ელექტრონით გაელენთილი ჰაერი. ვიმეორებ, მათ უყვარდათ ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ათასგვარ უშმაწურობითა და საშინელებით იყო აღსავსე.

ბოდლერი, რომელსაც არც კი ჰსურს შეირისხოს «საზიზღარი დედა ქალაქი», ხარბათ ეწაფება უწმინდურ განცხრობათა ფილას და ამ განცხრობაში ეძიებს ახალგაზდობასა და აღმაფრენას.

დიდი ქალაქი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის პოეტებს მრავალს ახალს მასალას აწვდიდა. ოთხმოციან წლებში, როდესაც ბერლინი გაერთიანებულ იმპერიის დედა-ქალაქი შეიქმნა, შორეულ პროვინციიდან ამ ქალაქს აწყდებოდენ ახალგაზდანი, სიმღერისა და სახელის მაძიებელნი. ამ მოდგმის ერთმა წარმომადგენელმა, პოეტმა ჰოლცმა თავის ლექსთა კრებულში „თანამედროვე ცხოვრების წიგნი“—საშვილისშვილოდ აღბეჭდა ის აზრნი და გრძნობანი, რომელთაც განიცდიდა ქალაქში ბედლის მაძიებელი ახალგაზდობა. თითო ფეხის გადადგამზე მათ თვალწინ იმუდობოდენ გულშემზარავი სურათები.

დიდსავე ქალაქში აღორძინდა ლირიკის ახალი ფორმა—ქუჩის სიმღერა. ამ სიმღერის აკვანი პარიზის სირაჯხანა ანუ cabaret. მოსიმღერე-იმპროვიზატორთა შორის უნიჭიერესი იყო „შავი კატის“ სირაჯხანის პატრონი არისტრიდ ბრიანი. მის სიმღერებში, რომლებითაც იგი უმასპინძლდებოდა თავისი სარდაფის სტუმრებს, ცოცხლად განსახიერებულა პარიზის ქუჩა თავისი ნაძირალებით—მეძავ ქალებით, აშოღლანებით, ლოთებითა და ქურდებით.



მთელი ეს ამღვრეული ტბორე დღით ჯურღმულვებში იმალება, ხოლო ღამით საშოვარის საძიებლად ედება ბულვარებს... ლექსში „წმ. ღასარეს სასაღმყოფოში“ მეძაიე ქალი თავის აშოლანს წერილსა წერს. მეძაე ქალს ძალიან აწუხებდნენ მისი მდგომარეობა. შესაძლებელია, უიმისოდ აშოლანმა რაიმე ხიფათი აიტეხოს, ვინაიდან ბუნებით დიდგული, გაკვირვების დროს თავის ამხანაგებისაგან პაპიროსის ნამწვეებს არ მოსძებნის ქუჩებზე, სიხოვე „სქელ ანასა“ — სწერს მეძაიე ქალი — მივიღოს თავის მეფარველობის ქვეშ. როდესაც საავადმყოფოდან გამოვალ, გავუსწორდები ანასა: სულ ერთია, ერთნი ვართო. თავს წერილში მეძაიე ქალი ეფიცება თავის აშოლანს, ისევე ნაზად მიყვარხარ, როგორც პატარას მიყვარდა მამა ჩემი, როგორც მიყვარდა ღმერთი. როდესაც პირველად ვამბობდი ჩემს აღსარებას წმ. მარგარიტას ეკლესიაში. ხანდისხან ბრიანის სიმღერებში გამოსქვივის „ყოფილ ადამიანთა“ ცხოვრების ნათელი სურათებიც: აღწერილია ქურდებისა და მეძაე ქალების რომელიმე სადღესასწაულო სერონობა; ეს სერონობა თავდება დიდებულ ნადიმით. ხანდისხან მეომრული კიენაც გაისმის; მოუწოდებენ მღირდებისა და მწვდლების გასაყუტად, საქურღლად და ნაქურღალის გასაკოფად: ისმის ხოლმე ანარქისადმი მოწოდებაც.

ქალაქის კულტურის გამოჩენილი მომღერალი ბელგიელი პოეტი ვერპარნია. ამ პოეტმა თავის კრებულს „სოფელნი-მისეჩესანი“ მეორე კრებული „რეაფეს-ქადაქება“ მიუძღუა. ამ კრებულებში ვერპარნმა დახატა ქალაქის, ქუჩების, მაღაზიების, ამოძრავებულ ქარხანების აჭრებულული სურათი. ზოგს ლექსში ვერპარნმა ქალაქის მფლობელი ორი გმირის სურათი დახატა. ერთის მხრივ მსხვილი მწარმოებელი, რომელიც სიჩუმით მოკლულ თავის კაბინეტში სწყვეტს „სამეფოთა და გემთა ბედ-იღბალს“. სავარძელში მოკუხული, იგი ხაზავს რიცხვთა კოლონას, ხოლო აზრით შორს სადღაც პტერენს: ბატავიაში, კოლომბოში, კაშტადში, ჩინეთში... სისხლის მწოველ ობობასაგან დაქსელა მან მთელი ქალაქი და მისი ოქრო ჯაღოქარი ანდამანტით იზიდავს ღარიბთა შეძლებასა და სხვა სიმღერდეს. მაგრამ მის ფეხთა ქვეშე უკვე აღმფოთება მწიფდება. კაპიტალისტური

წარმოების ორგანიზატორს გზას უჭრის სახალა-ხო რევოლიუციის ორგანიზატორს. ხალხის საუკუნოებითი ტანჯვანი მწაგვრელთა მიმართ შეურაცხებელ მტრობად შეგუბდა მის გულში და „მისი აზრი ცოცხალი, ვალუშილი, სურვილისა და ვნებათაგან ჩამოქნილი“ ქუჩებსა და მოედნებზე უკანასკნელ ბრძოლისათვის მოუწოდებდა მეშათა ხალხს.

და ბრძოლაც იწყება.

ერთ-ერთ ლექსში ვერპარნი აღწერს დელა-ქლოაქის აჯანყებას. დღე დაღის ხმაზე იღვიძებს დამონებული ხალხი. ქუჩები მსურაფელ იფინება ბარიკადებით. თოფის გრიალს მარსელიეზის ჰანგები უერთდებიან. ერთი გმირული შეხლაც და ხალხის გამარჯვებაც დაგვირგვინებულა...

(შემდეგი იქნება)

ბეტრე დაღვაძე



ნატო გამუნია-ქაგარლის გარდაყვალემის გამო

(მცირე შენიშვნა)

ძირფასი ნატო აღარა გვყავს! დიად, აღარა გვყავს ის ადამიანი, რომლის სახელთანაც შეერთებულია ჩვენი ვანახლებულ სცენის ბრწყინვალე ხანა, ხანა აღორძინებისა, ხანა დაუზოგავი და გაბედული შრომისა.

სწრაფმა სენმა უღროგოდ და უცაბედად გამოგვაცალა ხელიდან ნიქიერი და ჩვენი სცენის ჰირისუფალი მსახიობი. მისი დაკარგვა ჩვენს სცენას შესამჩნევს დაღს დაასვამს, ღიღს ხანს აღორ გვეყოლება შეუდარებელი „ხანუმა“, „ფროშარი“ და სხვანი.

ნატოს დამსახურების აღნუსხვას, მის მნიშვნელობის განმარტებას ამ ხანად არ შეუდგებთ. იგი ყველასათვის ცნობილია წარსულ წელს გამართულ 30 წლის მოღვაწეობის იუბილეთი.

მისი სხვანა რომ უკედავ ცყოთ, საქიროა ყურადღება მივაქციოთ ერთს გარემოებასაც, — სახელდობრ: განსვენებულს ნატოს, ასიკო ცაგარლის მეუღლეს, უნდა ჰქონოდა ყველა მისი პიესები ორიგინალური და ნათარგმნი.

ქარ. დრამ. სახ. გამეგობა მოვალეა მოითხოვოს ყველა ნაწერები ასიკოსი. აღნუსხოს და თავის ბიბლიოთეკაში მოათავსოს ჯერ შესანახად და მერე, როცა მოახერხებს, გამოსაცემადაც.

*Handwritten signature*



ა. შანშაშვილი და ი. გრიშაშვილი

### შემოდგომა

შემოდგომის ქარი ჰჭრის...  
 სველით სავსე წვიმა სტრის  
 და სოსანი მწარედ სტირს,  
 მისცემია ველი ძილს...  
 შეუსუსტდა ფერი მტილს,  
 მოსთქვამს შაში მუხის ძირს:  
 კორდს არიღებს დავსილს პირს.

სულის კენესა ჰხდება ტყეს.  
 სუ!.. ცრემლები სცივია ხეს.  
 შეელის ნუკრი ღამეს ბნელს  
 შორს გაურბის სალსა კლდეს.  
 გამხმარ შტოსა ვინა სტეხს?—  
 გრივალთა მთებში ეს.  
 სტვენს, სისინებს, ზატყით ჰპერს...  
 სცივა მდელოს... სუსხი სცემს!

*ა. შანშაშვილი*

### ვკვლები... ვაიბე!..

მნათობი საღ-მთებს მიეფარა, მაისის დილავე,  
 მწუხრის სამსხვერბლოდ გადიშალა შენს ფერხთა ქვეშე;  
 ღრუბელითა სრიალს ვერ გააპოვ, ვერ დამიჩრდილავე,  
 პიმი გლოვისა არ არსებობს ჩემსა გარეშე.

მო, მანუგეშე!

მთაო, მალალო!  
 თავისუფალო,  
 მაგრამ საბრალო...

მო, გამიღიმე!

ამური ცელქი შენს სამოთხის მკერდზე დავკარგე,  
 ჰანგად ჩამოვქმენ აპოლონის ფერადი ქნარი;  
 მე შენს ტუჩებზე საუკუნო კოცნა მოვქარგე,  
 კოცნა უმწიკლო, ვით უსაზღვრო მგონის სიზმარი.

ფოთლებ შემხმარი

ხე, ალვისა ხე,  
 ვით შენი სახე,  
 გულს ჩავისახე,

ავაციმციმე.

მე ყვაილი ვარ, ზღვის ყვაილი, სნეულად მყოფი,  
 ვსქენები და მხოლოდ საღარდულად თან ის მიმყვება,  
 რომ ვერ ვიმრავლე, ვერ დავსტოვე ჩემი ნაყოფი,—  
 იესო, ღვთის ძეგ! მაშ ჩემ შემდგომ ვინ, ვინ დარჩება?

აგერ ოცნება

ეტლს მოაქროლებს:  
 მე აქ მამბოლებს,  
 შენ გაგიყოლებს.

ვკვლები... ვაიბე!

ი. გრიშაშვილი




# მიმიკა

III

დეტალური განხილვა სხეულისა და მისი ასოების მოქმედებისა კანკებზე


როცა ფეხზე სდგხართ, — კანკები სწორეთ გადაა — ქუსლები ერთმანეთზე მოტეხული, — სხეული დამყარებულია ორადე ფეხზე (ფიგურა 5), თქვენ მიიღეთ მდგომარეობას, რომელიც ჰქონხვს:

თავდაღობას,  
მორცხვობას,  
შშვილობას,  
პატეისცემას,  
სიწყნარეს,  
უმოქმედობას,  
სახატეეტეო ცდას.



ფიგ. 5

ფეხზევე — სხეული, დამყარებული აგრედვე ორივე კანკზე, მხოლოდ ფეხები გაწეული (ფიგ. 6), გაძღვთ შეხედულობას:



ფიგ. 6


შეზღვეურნისს,  
ცხნოსნისს  
შშივე ტვირთის შვიდველისს,  
ვეუღარულ ადმიანისს,

საერთოდ ასეთ ადმიანისს, რომელიც დახეულია შშივე ტვირთის ზიდავს.

ასეთადე მდგომარეობა, როგორც ფიგურა 6 იმ განსხვავებით, რომ სხეული, ტნი ცოტათი მოხრილია (ფიგურა 7), ჰქნიშხვს:

დადაღვას, სიბერეს,  
სისუსტეს, სიმოვარდეუს.

საერთოდ ასეთი მდგომარეობა ახასიათებს ადა-



ფიგ. 8

ფიგ. 9

მიანს, რომელსაც ეშინიან თავის სხეულის თანსწრობობის დაჯარგვისა.

როცა ფეხზე დგხართ, სსხვადღობისკენ შირიბარუნებუელი, ორივე ფეხით იატაკზე დაბჯენილი, — შგრამ სხეულით მხოლოდ ერთს კანკზე დამყარებული — შში მიიღეთ ბუერად გრადიფხულს მდგომარეობას და ბუერად სათლად გამოსახულს.

უთქვათ, თქვენ ელანარაკებით თქვენს შარტნიორს, რომელიც სდას თქვენს შარტნივე, თქვენი სხეული კი დაბჯენილია მარჯვენა ფეხზე, ე. ი. თუ თქვენი სხეული დაბჯენილია იმ კანკზე, რომელიც მოქმედებისაკენ არ არის (ფიგურა 8), თქვენ ჰხატეთ ადმიანს, რომელიც გულგრილად იცდის ან კიდე გულგრილად იხმენს. შირიქით, თუ თქვენი სხეული დამყარებულია იმ კანკზე, რომელიც მოქმედებისაკენ არის, ე. ი. თუ ელანარაკებით თქვენს შარტიორს და ეს შარტიორი მარჯვენა სდას და თქვენი სხეულიც მარჯვენა კანკზე არის დაბჯენილი, დამყარებული, როგორც სურათსკა ნახვევები (ფიგურა 9), თქვენ მიიღეთ მდგომარეობას, რომელიც ჰქნიშხვს:

ეურადღებს,

ატეორ მონაწილეობის მიდეგას დაშარკაი.

თუ, როცა სსხვადღობის ან კიდე თქვენი შარტიორს ელანარაკებით, თქვენი სხეული დაბჯენილია ორივე ფეხზე, რომელიც იმეფიების ერთს სწორე სსხვზე (იხიდე ფიგურები 5 და 6) თქვენ გაქვსთ ნაკლებ გამოიმეტეველი და ნაკლებ მოუხერხებელი, რდაგან თქვენ არ შეტეძლებათ წაწ-წაწაშიწით თქვენი სხეულით წინ შუან შშიშრად; რდაგან შეიძლება ადეღვად დაჰკარგეთ თანსწრობობ ტახისა.

შირიქით, თუ თქვენ ერთ ფეხს წინ გასწეეთ, შში თავსუფლად, შშიშრად შეტეძლებათ თანსწრობობს მიხერა-მოხერა, წინ და შუან დაწევა, არც თანსწრობობას დაჰკარგათ და შშიშრად უფრო მეტი ძალა და უფრო მეტი შშიშრადილება ექნათ მაყურებელზე.

**გიორგი ჯაბადარი**

ბრიუსელი (ბელგია)



ილია ჭავჭავაძის სსოვნისა

